ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №98926

ნომერი: AR128747

თარიღი : 07.03.2012

გაცემის თარიღი : 28.03.2012

გაცნობის თარიღი : 04.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი , ქუჩა პატარიძის ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ამირან ბეგიაშვილი პ/ნ 01012019532
- თბილისი, ვაზისუბნის დას. კორ. 26, ბ. 19

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ბიძინა ცაცაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ამირან ბეგიაშვილი; თავმჯდომარე: ამირან ბეგიაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: იბა "მზე+"
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01012019532
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206310883

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.09.2011
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/2643

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 05 სექტემბერს #01/2643 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ვაზისუბანში, პატარაძის ქუჩაზე, ი.ბ.ა. „მზე +“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვეთების საკადასტრო კოდი #01.17.07.011.044; #01.17.07.011.045) მშენებარე მრავალბინიანი მრავლფუნქციური საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი, გაიცა მშენებლობის ნებართვა და #ნ/2773-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, ვადით 2012 წლის 09 მარტის ჩათვლით.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში 2012 წლის 07 მარტს შემოვიდა ი.ბ.ა. "მზე +"-ის თავჯდომარის (საიდენტიფიკაციო კოდი: 20631088) ამირან ბეგიაშვილის #AR128747 ელექტრონული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც განმცხადებელი ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას.

სამსახურმა განიხილა აღნიშნული საკითხი და გამომდინარე იქიდან, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების#57-ე მუხლის მოთხოვნებს გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. დაკმაყოფილდეს ი.ბ.ა. "მზე +"-ის თავჯდომარის (საიდენტიფიკაციო კოდი: 20631088) - ამირან ბეგიაშვილის #AR128747 განცხადება.
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 05 სექტემბერს #01/2643 ბრძანებაში: ბრძანების მე–3 პუნქტში ჩანაწერი: "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 09 მარტის ჩათვლით", შეიცვალოს ჩანაწერით "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2012 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით".
3. მითითებული ცვლილება აისახოს 05.09.11წ. #ნ/2773–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.09.2011წ. #01/2643 ბრძანებასთან და #ნ/2773–1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

- მშენებლობა განხორციელდეს წარმოდგენილი კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.